GEORGIA'S INNOVATION & TECHNOLOGY AGENCY

ტექნოლოგიური კვირეულების განხორციელების კონკურსი

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივით, ცხადდება ახალგაზრდებისთვის ტექნოლოგიური კვირეულების პროგრამა საქართველოს 7 მუნიციპალიტეტში (საგარეჯო, ლაგოდეხი, ხულო, ახალციხე, ბოლნისი, მარნეული და გარდაბანი). აღნიშნული პროგრამები ხორციელდება USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ პროგრამის ფარგლებში.

ტექნოლოგიური კვირებულები გულისხმობს ზემოთ ხსენებულ 7 მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების დაინტერესებას ICT, STEAM და ტექნოლოგიური მეწარმეობის მიმართულებით. თითოეული ტექნოლოგიური კვირეულის ფარგლებში 60-მდე ახალგაზრდას ჩაუტარდება პრაქტიკული სესიები და 5 დღის განმავლობაში მონაწილეები გაივლიან ინჟინერიის, ელექტრონიკის, მეწარმეობის, პროგრამირების, ხელოვნური ინტელექტის და სხვა სფეროების შესახებ სემინარებსა და ინდუსტრიის ექსპერტების ტრენინგებს. პროექტის განხორციელება იგეგმება 2024 წლის ივნისი-დეკემბრის პერიოდში, ზემოხსენებულ 7 ლოკაციაზე. სამუშაო შეხვედრებისა და პრაქტიკული სესიების სერიები წაახალისებს მონაწილეებში ტექნოლოგიების პოპულარიზაციას და მათ შორის ახალი ტექნოლოგიური სტარტაპერების აღმოჩენას. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებსთვის აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარებას.

ტექნოლოგიური კვირეულის მთავარი მიზნებია:

- შერჩეულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებში თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა;
- 7-ივე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში ინოვაციური აზროვნების, იდეების შემუშავებისა და სტარტაპის შენების ძირითადი უნარების განვითარება;
- მონაწილეებისთვის STEAM ინდუსტრიისა და სტარტაპ ეკოსისტემაში მისი გამოყენების პერსპექტივების გაცნობა;
- STEAM-ის სწავლების მნიშვნელობის გაზრდა ახალგაზრდების განვითარებისთვის;
- მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდა ინოვატორების აქტიურად ჩართვა საქართველოს ინოვაციურ და სტარტაპ ეკოსისტემაში, რეგიონული სტარტაპების ფორმირების/განვითარების გზით;
- რეგიონებში GITA-ში არსებული დაფინანსების შესახებ ინფორმირებულობის დონის გაზრდა, ტექნოლოგიური კვირეულის პროგრამის კურსდამთავრებულების სააგენტოს სხვადასხვა საგანმანათლებლო და საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა;
- ინოვაციების კულტურის განვითარება და პრობლემების კრეატიული გზით გადაჭრის ხელშეწყობა.
- რეგიონული საზოგადოების ჩართულობის ზრდა ინოვაციურ ეკოსისტემის განვითარებაში.

შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI):

- **მონაწილეთა რაოდენობა:** ტრენინგებზე მონაწილეთა ჩართულობის კოეფიციენტმა უნდა შეადგინოს არანაკლებ 70%. აღნიშნულ პროცენტზე ნაკლები დასწრება არ უნდა იყოს გამოწვეული ტრენინგების ჩატარების ხარისხით უკმაყოფილებიდან გამომდინარე, რის დადასტურების წყაროდაც გამოყენებული იქნება მონაწილეების მიერ შევსებული უკუკავშირის ფორმები.
- **გენერირებული ინოვაციური იდეების რაოდენობა:** მონაწილეების მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ 10 ინოვაციური ან/და ტექნოლოგიური სტარტაპ იდეის პრეზენტაცია ან/და პროტოტიპი, რომელიც წარმოდგენილი იქნება მონაწილეების მიერ კომისიის წინაშე დემო დღეზე.
- **პროგრამის შემდგომი შეფასების ფორმა:** კვირეულის შეფასების ფორმებში, სადაც მონაწილეები შეაფასებენ კვირეულის მიმდინარეობას, საშუალო ქულა უნდა იყოს არანაკლებ 7 ქულა (მაქსიმალური 10 ქულიდან), როგორც ორგანიზატორი კომპანიის, ასევე თითოეული მენტორის, სპიკერისა და აქტივობების მმართველის / პროექტის კოორდინატორის მიმართ.

მომსახურების მიმწოდებელი გამოვლინდება კონკურსის გზით, წინასწარ შერჩეული ჟიურის მიერ, რომელსაც დააკომპლექტებენ GITA-ს და UNAG-ის წარმომადგენლები. შერჩევის კრიტერიუმები:

კრიტერიუმი	**ქულა**
ორგანიზაციის გამოცდილება	15
გუნდი (რეზიუმეები)	25
თანხის და ბიუჯეტის დანიშნულება.	15
ძირითადი მახასიათებლები და სილაბუსი	30
აქტივობების გეგმა	15